საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020136488900721

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/8765 **24 / დეკემბერი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას მიმდებარე ტერიტორიაზე 370680 $მ^3$ ღორღის მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 53425 07.12.2021).

ლიცენზია გაიცემა 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 370680 $მ^3$-ს, წელიწადში საშუალოდ 18534 $მ^3$-ს. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 18534 $მ^3$-ზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ხუთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 300-370 მ. სიმაღლეზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, ან დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტის III უბნიდან 330 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე